MES 4 22 0000124341

08/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.01.2022 – 26.01.2022
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 01:45სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I, II, III, IV)
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანი (V)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II, III)
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (IV, V)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე.
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაზე სათათბირო ხმის ულებით მოწველი წევრები:

1. თამარ გრძელიძე
2. ვლადიმერ ნარსია

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მამა ჯუზეპე პაზოტტო	შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის დამფუძნებელი ეპისკოპოსი	I
2	ვაჟა ვარდიძე		რექტორი	I
3	დიმიტრი გეგენავა		ვიცე-რექტორი	I
4	ნათია შეყილაძე		კანცლერი	I
5	ნინო ქათამაძე		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	I
6	გოჩა ბარნოვი		ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I
7	თეიმურაზ ბუაძე		ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი	I
8	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	II
9	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის	II

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
10	ნინო დობორჯგინიძე		პროგრამის ხელმძღვანელი; პროფესორი	II
11	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12	ირინა ლობჟანიძე		პროფესორი	II
13	თინათინ მარგალიტაძე		პროფესორი	II
14	სალომე გავაშელიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	II
15	გიორგი გვალია		რექტორის მოადგილე	II
16	საფფეთ ბაირაქთუთანი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	III
17	ნინო ჯოჯუა		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	III
18	თეა კბილცეცხლაშვილი		ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	III
19	ილია ბოცვაძე		ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულეტეის დეკანი	III
20	გიორგი წანაწყენიშვილი		არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	
21	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV

22	ფიქრია ასანიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
23	ქრისტინე ჩიხლაძე		თსუ ხარისხის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, განათლების ექსპერტი	IV
24	ნინო ქიმერიძე		თსუ ხარისხის სამსახურის განყოფილების უფროსი, პროგრამული აკრედიტაციისა და განათლების ექსპერტი	IV
25	ნუგზარ პაიჭაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
26	ნატალია ხარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
27	ირმა გრძელიძე		თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
28	ლევან საბაური		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	V
29	ია ნაცვლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	V
30	ნინო ტალიკაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	V
31	დეა ფირცხალაიშვილი		პროფესორის ასისტენტი	V

აკრედიტაციის ექპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობი სშესახებ**	**საკითხი**
1	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მამა ეფრემი (გივი ლომიძე)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3		(ჩაერთო „ზუმით“)	I

	მამა ილია (ირაკლი ჯინჯოლავა)		
4	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ირინე დარჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნინო ჯახველაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ივანნა მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	ზაზა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	მაია ჭინჭარაული	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის “თეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული ჰუმანიტარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

კი

საბჭოს შუამდგომლობით შეიცვალა დღის წესრიგის მიხედვით არსებულ საკითხთა თანმიმდევრობა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის “თეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული ჰუმანიტარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველი საკითხი : შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის “თეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეოლოგია/Theology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეოლოგიის დოქტორი/Doctor of Theology (Ph.D.)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0221 რელიგია და თეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	58

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. №3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

2021 წლის 30 ნოემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის მსვლელობისას, საბჭომ საკითხის ზეპირი მოსმენისა და განხილვის შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხის საბჭოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად გადადებისა და განხილვის პროცესში ორი დამატებითი ექსპერტის მოწვევის თაობაზე.

აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის25 იანვრის სხდომაზე, მოწვეულ იქნა ორი დამატებითი ექსპერტი (თამარ გრძელიძე, ვლადიმერ ნარსია) სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მოწვეულმა ექსპერტმა, ვლადიმერ ნარსიამ განაცხადა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დასკვნა/ანგარიში არ იყო შედგენილი მოწვეულ ექსპერტ თამარ გრძელიძესთან შეთანხმებით, არამედ შეფასების პროცესი განხორციელდა ინდივიდუალურად, შესაბამისად, ისინი თანმიმდევრულად დააფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციებს.

მოწვეულმა ექსპერტმა, თამარ გრძელიძემ აღნიშნა, რომ წინამდებარე პროგრამის მთავარი ხარვეზია კონკრეტიკის ნაკლებობა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება თეოლოგიის შინაარსს. მიდგომა - სჯობს ბუნდოვანება, მერე რასაც მოვისურვებთ იმას ვასწავლით -

არადამაკმაყოფილებელია. მსგავსი მიდგომა აჩენს კითხვას შეძლებს თუ არა სულხან-საბას უნივერსიტეტი *ნებისმიერი* თეოლოგიის სწავლების უზრუნველყოფას. ასევე აქვთ თუ არა სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა *ნებისმიერი* კონფესიის, ტრადიციის თეოლოგიაში გაუწიონ დოქტორანტებს ხელმძღვანელობა. მაშინ, როდესაც პროგრამა პრეტენზიას აცხადებს "უახლეს საღვთისმეტყველო მეცნიერულ მიდგომებზე", სრულიად წარმოუდგენელია ორი მნიშნელოვანი სფეროს არმოხსენიება - აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობის წყაროების ენებისა და ბიბლეისტიკის. თუ ეს უკანასკნელი ჰერმენევტიკაში მოიაზრება, ასე უნდა ითქვას და ეს საკითხი გაიშალოს. რაც შეეხება ბერძნულის ან ლათინურის ბაზისურ ცოდნას, თუ ვინმეს თეოლოგია უსწავლებია, იცის, რომ ვერცერთ საკითხს სისტემატურ თეოლოგიაში ვერ ახსნი ენებზე დაყრდნობის გარეშე. ცხადია, დოქტორანტებს არ მოეთხოვებათ პატრისტიკული ბერძნულისა და ლათინურის ჩინებული ცოდნა, მაგრამ ბაზისური ცოდნის გარეშე ფონს ვერ გავლენ.

რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, უმჯობესია "სოციალურ მეცნიერებაში მაგისტრის" მოთხოვნა უფრო დაკონკრეტდეს. თუ დოქტორანტს სურს თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოპოვება, მაგისტრის ხარისხი ანთროპოლოგიაში ან პოლიტიკურ მეცნიერებებში საკმარისი არ იქნება. ამ შემთხვევაში, დოქტორანტმა უნდა გაიაროს თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსები.
სტრუქტურასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მუშაობისას, აუცილებლად სამი კოლოქვიუმის მოთხოვნა გადამეტებულია. უმჯობესია დაიწეროს, არანაკლებ ორი კოლოქვიუმისა.
ამასთან, "აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა" არაადეკვატურია. აკადემიური წერა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებებზე ბაკალავრიატის პირველი წლიდან ისწავლება. შემდეგ მაგისტრანტები, ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტ გამოცდილებასა და ცოდნას იძენენ. იმ დამატებით უნარებს, რაც სადოქტოროზე მუშაობისას არის საჭირო, ხელმძღვანელი უზრუნველყოფს. ექსპერტს ამ მოდულის/საგნის ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. თუ კანდიდატმა აკადემიური წერა უნდა ისწავლოს, ნიშნავს, რომ სამაგისტროზე ეს ვერ მოახერხა და ამ შემთხვევაში სადოქტოროს ნუ შეეჭიდება.
გარდა ამისა, მოდული "პროფესორის ასისტენტობა" სავალდებულო არ უნდა იყოს. თუ აქ იგულისხმება სალექციო კურსების ჩატარება, აუცილებელი არაა, რომ დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ თეოლოგიის დოქტორმა საგანმანათლებლო საქმიანობა აირჩიოს და არა სამეცნიერო ან საჯარო სამსახური. თუ იგულისხმება, რომ დოქტორანტმა დახმარება უნდა გაუწიოს პროფესორს მისი საკვლევი სფეროს ფარგლებში, ეს შეთანხმებული უნდა იყოს დოქტორანტთან, აქვს თუ არა მას სათანადო დრო და შესაძლებლობა.
მოწვეულმა ექსპერტმა, ვლადიმერ ნარსიამ აღნიშნა, რომ თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნები გამართულად არის ჩამოყალიბებული. პროგრამა უზრუნველყოფს კანდიდატებისთვის საკვლევ სფეროებში მაღალი დონის კვლევების მომზადებას. ვინაიდან პროგრამა ყურადღებას ამახვილებს თეოლოგიის 4 საბაზისო მიმართულებიდან 2-ზე, მიზანშეწონილია პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს სისტემური თეოლოგიისა და თეოლოგიის ისტორიის მიმართულებები, რაც ხაზს გაუსვამს სადოქტორო პროგამის თვითმყოფადობასა და მახასიათებლებს.
თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული მე-8 დონის კვალიფიკაციის სწავლის შედეგებს, რომელიც გასაგებად არის ჩამოყალიბებული, კონკრეტული, მიღწევადი და გადამოწმებადი მახასიათებლებით. ეს ქმნის პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის მართებული კოორდინირების და სამომავლოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სწორად გამოყენების საშუალებას. თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, ვინაიდან კურიკულუმი კონცენტრირდება თეოლოგიის 2 საბაზისო

მიმართულებზე, აუცილებელია მიზნებიდან გამომდინარე, შედეგებშიც აისახოს და დაკონკრეტდეს ის ორი დარგი, რომელშიც პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის უნარებს, ცოდნასა და პასუხისმგებლობას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია თეოლოგიის სადოქტორო პროგრამითა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით. წინაპირობები შეიძლება დაიყოს პირობითად ორ ძირითად მიმართულებად: 1. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები და 2. შინაარსობრივი მოთხოვნები. საკვალიფიკაციო კრიტერიუმების მიხედვით, პროგრამაზე დაიშვებიან თეოლოგიის, სოციალური მეცნიერებებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრები. აღნიშნული სრულიად მართებული და ლოგიკურია. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან უამრავი დარგი არსებობს, რომლის მიმართულებითაც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირს შეუძლია გააგრძელოს სადოქტორო ეტაპზე სწავლა და კვლევა. თუმცა, ამ კუთხით, თეოლოგიური განათლების არმქონე პირების მიღებასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება თეოლოგიის ფუნდამენტური მიმართულებების საბაზისო ცოდნას, ვინაიდან სადოქტორო განათლება ორიენტირებულია ძირითადად კვლევაზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები არ განიხილება განყენებულად, არამედ მას თან ერთვის შინაარსობრივი მოთხოვნები და იგი გადმოცემულია დოქტორანტურის დებულებაში. შეიძლება ითქვას, პროგამაზე დაშვების წინაპირობები სრულიად გამჭვირვალეა, იმ ნაწილშიც კი სადაც თეოლოგიური განათლების არმქონე პირების დაშვებადობაზეა საუბარი, ვინაიდან აქვვეა დადგენილი პროგრამის მიზნებთან შესაბამისობისთვის საჭირო კრიტერიუმები, შემოწმებადი და სამართლიანი ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თეოლოგიური განათლების არმქონე პირები თეოლოგიის ძირითად ცნებებთან მიმართებაში ვერ აჩვენებენ საკმარის კომპეტენციას ისინი არ დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე ამასთან, პროგრამის შინაარსი სრულად კონცენტრირდება სისტემური თეოლოგიისა და თეოლოგიის ისტორიის მიმართულებებზე, სასწავლო კომპონენტის უმთავრესი მიზანი გამოკვეთილია და მიემართება დისერტაციის შესასრულებად საჭირო კომპეტენციებს.
განსაკუთრებით გამოსაყოფია კვლევითი სემინარების არსებობა, რომელიც დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. სადოქტორო პროგრამა რაციონალურად მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს, სადოქტორო დისერტაცია კი ფასდება ერთიანად, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით დადგენილ კვლევითი ნაშრომის შეფასების სტანდარტსა და კრიტერიუმებს.
აღსანიშნავია ასევე, რომ დოქტორანტურის დებულების მიხედვით, მხოლოდ სადისერტაციო კოლეგიიდან შეიძლება დოქტორანტს ხელმძღვანელობდეს შესაბამისი სამეცნიერო-ხელმძღვანელი, რომელსაც კვლევებით უდასტურდება სფეროსთან კავშირი. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თეოლოგიის სადისერტაციო კოლეგიის წევრების სრული შემადგენლობა დაკომპლექტებულია კვალიფიციური მკვლევრებით, რომლებიც როგორც თეოლოგიის, ისე ინტერდისციპლინური თეოლოგიური მიმართულებების სფეროში აქტიურად იკვლევენ, აქვეყნებენ ნაშრომებს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებად შერჩეული პროფესორები ქართული აკადემიური თეოლოგიური სივრცის აბსოლუტური უმრავლესობაა, რაც პროგრამის მდგრადობას და მომავალ დოქტორანტთათვის მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო ხელმძღვანელობას გულისხმობს.
შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის “თეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ვლადიმერ ნარსიას მიერ ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები და შეფასება არ მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც ეჭვქვეშ დააყენებს პროგრამის ქმედითობას. პროგრამა ახლა იწყებს მუშაობას, შესაბამისად ცხადია, რომ სამომავლოდ იგი მეტად დაიხვეწება და განვითარდება.
აღსანიშნავია, რომ თეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ეყრდნობა უნივერსალურ კრიტერიუმებსა და პრინციპებს, რაც ნიშნავს იმას, რომ თეოლოგიის დარგში გაკეთებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა ითვალისწინებდეს ზემოაღნიშნულ კრიეტრუმებსა და პრინციპებს. კონფესიურობა ეხება კვლევით სფეროს და არა მიდგომის ფორმას. პრინციპული და მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი ფასდებოდეს აკადემიური ნაწილიდან გამომდინარე, რომელსაც ნებისმიერი მეცნიერება უნდა ექვემდებარებოდეს. შესაბამისად, შესაძლოა დოქტორანტმა თეოლოგიის ნებისმიერ დარგთან დაკავშირებით დაიცვას ნაშრომი, ვინაიდან პროგრამა დიპლომს გასცემს არა მართმადიდებლური თეოლოგიის დოქტორის ხარისხზე, არამედ იმ დოქტორის ხარისხზე, რომელიც კვალიფიკაციის ჩარჩოშია მითითებული- თეოლოგიის დოქტორი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა ოპტიმალურია და საბაუნის მიზანი არაა ფორმალურად ჰყავდეს მკვლევრები და სამეცნიერო ხელმძღვანელები. ამასთან, დოქტორანტურის დებულების მიხედვით, მხოლოდ იმ სფეროში შეიძლება დოქტორანტების მიღება, რა მიმართულებითაც სადისერტაციო კოლეგიაში წარმოდგენილია აკადემიური პერსონალი.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისუაბრა ასევე ,,ასისტენტობის" კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული წაროადგენს არჩევით სასწავლო კურსს, ვიანიდან დოქტორანტი შეიძლება დისერტაციას აკეთებდეს არა სამომავლო სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობისთვის, არამედ მეცნიერული განვითარების მიზნებისთვის, თუმცა დაწესებულების სურვილია, რომ პროგრამის პერიოდში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა, რომ სამომავლოდ პედაგოგური საქმიანობისთვის დაიგროვოს გამოცდილება.
რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა შესაბამის სამივე ენაზე სრულად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის წიგნად ფონდში. უნივერსიტეტში მოქმედი პრაქტიკით, სილაბუსში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებების ადეკვატურად ხდება წიგნად ფონდში პერმანენტული განახლება. დაწესებულება იძენს ყოველთვიურად დიდი რაოდენობით ქართულ და უცხოენოვან წყაროებს თეოლოგიის მიმართულებით. საბაუნის აქვს საქართველოში უდიდესი თეოლოგიური ლიტერატურა როგორც თემატურად, ისე ერთეულების რაოდენობის მიხედვით.
რაც შეეხება პროგრამის შინაარსს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან ამ პროგრამის იდეა არა საფუძველის სწავლა, არამედ კვლევა და კვლევისთვის საჭირო უნარების გამომუშავება-განვითარებაა. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტი მიემართება ამ პროგრამის უმთავრეს შედეგს - სადოქტორო დისერტაციას, კერძოდ, სადოქტორო დისერტაციის გამართულად და მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებას, კვლევის

სიღრმისეულობას, ინოვაციურობასა და ახალი ცოდნის შექმნას, ასევე, დოქტორანტის კვლევითი, პედაგოგიური და მეცნიერების მენეჯმენტისთვის საჭირო უნარების განვითარებას. სადოქტორო ეტაპზე დარგობრივი საგნების სწავლება პრინციპულად მიუღებელია არა მხოლოდ კონკრეტულად ამ პროგრამის, არამედ ზოგადად სადოქტორო პროგრამების კონტექსტში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა რა თქმა უნდა საჭიროებს დახვეწასა და განვითარებას, თუმცა სახეზე არ არის კრიტიკული შეუსაბამობა და დამაბრკოლებელი გარემოებები პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების კუთხით. უნივერსიტეტი მზად არის ამ შესაძლებლობისთვის და მომართულია პროგრამის განვითარებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის სადოქტორო საფეხურის, სადაც უმთავრესი ადგილი უკავია კვლევასა და კვლევით ნაშრომს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს, დაეზუსტებინათ თუ რამდენად შესაძლებელია ხარისხიანი კვლევისა და კვლევითი ნაშრომის შემუშავება პროგრამის საფუძველზე.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა, თუ რამდენად საჭიროა, რომ აპლიკანტმა იცოდეს ყველა ენა? გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა თეოლოგიის დოქტორის ხარიხის მისაღებად უნდა ფარავდეს თუ არა პროგრამა თეოლოგიის ოთხივე მიმართულებას?

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ მოწვეულ ექსპერტთა დაკვნაში ბიუჯეტი სრულად იყო შესაბამისობაში, მაშინ როცა აკრედიტაციის ექსპერტებს არ უნახავთ და არ გაცნობიან პროგრამის ბიუჯეტს. შესაბამისად, დააზუსტა ხომ არ მიეწოდა მოწვეულ ექსპერტს პროგრამის ბიუჯეტის პროექტი?
რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ბაზრის ანალიზის გაცნობის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფისთვის დარჩა გარკვეული თემები ბუნდოვანი. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ანალიზის ავტორი აღნიშნავს, რომ დოქტორნატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ დარგში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მწირადაა წარმოდენილი. დამსაქმებლებთან კომუნიკაცია შედგა ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში და როგორც ანალიზის დოკუმენტშია მითითებული, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაითვალისწინეს დამსაქმებელთა რეკომენდაციები. თუმცა წინამდებარე ჯგუფთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ წარმოდგენილ დამსაქმებლებს რაიმე კონკრეტული რეკომენდაცია პროგრამის მიმართ არ ჰქონიათ და პროგრამის ცნობადობაც არ იყო სიღრმისეული. ცალკეულმა მათგანმა ვერ განმარტა მოცემული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება მათდამი დაქვემდებარებულ ინსტიტუციაში.
მნიშვნელოვანია ასევე ენების საკითხი, კერძოდ აუცილებლობას ნამდვილად არ წარმოადგენს ყველა ენის ცოდნა, თუმცა აუცილებელია, დოქტორანტმა დაადასტუროს კომპეტენცია, რაც შეთავაზებული იქნა ექსპერტების მიერ ექსტრაკურუკულური საკითხის სახით.
მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვლევა რომელსაც აწარმოებს დოქტორანტი, ეფუძნება იმ ცოდნას, რაც დოქტორანტს წინა წლებში აქვს მიღებული სხვადასხვა დარგებში. შესაბამისად, თუ დოქტორანტს არ აქვს შესაბამისი წინარე ცოდნა, აუცილებელია, რომ პროგრამის ფარგლებში მოხდეს ბაზისური საკითხების სწავლება, რაც მოიცავს თეოლოგიის ოთხივე მიმართულებას.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, მე-2 და მე-4 სტანდარტი შეფასებულია როგორც შეუსაბამო აკრედიტაციის სტანდარტებთან, მიუხედავად ამისა, სტანდარტებთან მიმართებით არც თუ ისე ბევრი რეკომენდაცია არის მოცემული, გარდა ამისა, თავად რეკომენდაციების შინაარსი საუბრობს კორექტირებებსა და განახლება/დახვეწაზე. რეკომენდაციები არ არის ისეთი ხასიათის, როგორც არის შეფასებული სტანდარტები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თავისი შინაარსით

იძლევა თუ არა რეკომენდაციების გაცემის საფუძველი პროგრამის განვითარების შესაძლებლობას?
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად არის საკმარისი პროგრამის განმახორციელებლების გამოცდილება, სრულყოფილი და მნიშვნელოვანი სადისერტაციო ნაშრომების შესრულების გარანტი?
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალის რესურსი სრულიად საკმარისია სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელობისა და სრულყოფილად შემუშავების კუთხით. თუმცა პროგრამის იმ ფორმით განხორციელება რა ფორმითაც იგი არის მოცემული, იქნება წარუმატებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია მისი განვითარება და დახვეწა.
ექსპერტი ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა მოწვეულ ექსპერტს, ვლადიმერ ნარსიას დასკვნაზე მუშაობის დროს წვდომა მათ მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე, ვინაიდან მისი მოსაზრებით, ვლადიმერ ნარსიას მიერ გადმოცემული ინფორმაცია ერთგვარად ეხმიანებოდა მათ მიერ შემუშავებულ დასკვნას. მან დაზუსტების მიზნით მიმართა ცენტრს, ჰქონდა თუ არა ამის შესაძლებლობა ვლადიმერ ნარსიას და გაეგზავნა თუ არა მას დასკვნა?
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ განმარტა რომ მოწვეულ ექსპერტ ვლადიმერ ნარსიასთვის ცენტრს არ მიუწოდებია აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია მზადაა შეცვალოს ჩანაწერი, თუმცა პროგრამას აქვს არაპროფესიონალი დოქტორანტების მიმართ ბერკეტები. მიუხედავად ამისა, გაუგებარია, თუ რატომ იწვევს აღნიშნული საკითხი სტანდარტის დაწევის შესაძლებლობას. აღნიშნული რეკომენდაცია, შეფასებასთან მიმართებით არის არაპროპორციული. დოქტორანტურის დებულებაში დეტალურად არის მოცემული თუ რა ეტაპებს გადის გასაუბრებაზე დოქტორანტი და როგორ ფასდება თითოეული კომპონენტი. ფიზიკურად შეუძლებელია პროგრამაზე ჩააბაროს პირმა რომელიც თეოლოგიის კუთხით არის დილეტანტი. მიუხედავად ამისა, სასწავლებელი აფიქსირებს მზაობას, რომ აღნიშნული ასევე ასახული იყოს ფორმალურად მიღების წინაპირობებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია არ არის შედეგის პროპორციული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:32
დასრულების დრო: 18:14

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "თეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სულხან-საბა ორბელიანი უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში აისახოს თეოლოგიის ის ძირითადი მიმართულებები, რომელსაც გამოკვეთს და პრიორიტეტად ასახელებს თავად პროგრამა და რომელზეც არის ორიენტირებული კვლევითი სემინარებიც.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს თეოლოგიის ის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც ორიენტირდება კურიკულუმი.

1.2 მნიშვნელოვანია, რომ დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკები და შემუშავდეს სავარაუდო სამიზნე ნიშნულები.

2.1 რეკომენდებულია განისაზღვროს აპლიკანტების დარგობრივი ცოდნის და კვლევის თემატიკის შესაბამისად ორიგინალურ წყაროებთან მუშაობის ენობრივი კომპეტენციის დადასტურების პროცედურები.

2.3 მიზნობრივად და მიზანმიმართულად გაიწეროს სასწავლო კურსების (ორი 10 კრედიტიანი კვლევითი სემინარი) კრედიტ მოცულობა, კერძოდ, შეივსოს სასწავლო კომპონენტი დარგის ფუნდამენტური მიმართულებების კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსებით.

4.1 რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კვლევების კომპონენტში თეოლოგიის ძირითადი მიმართულებების სრულად მოცვის მიზნით.

4.3 მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა შეივსოს თეოლოგიურ ტერმინთა მრავალტომეული ლექსიკონით.

4.3 რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს თეოლოგიის მიმართულებით უახლესი და აქტუალური ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა.

4.4 რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის დეტალიზება პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ.

5.1 რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

5.2 პროგრამის განვითარების მიზნით გათვალისწინებულ იქნას გარე შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფას

5.3 პროგრამის ამუშავების შემდგომ ხარისხის მექანიზმების სრული დაცვით განხორციელდეს პროგრამის პერიოდული მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას

რჩევები:

1.2 სასურველია შრომის ბაზრის კვლევის არეალი იყოს პროგრამის რელევანტური.

3.2 სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ფიქსირდებოდეს ასევე ის ძირითადი კვლევითი მიმართულებები, რომელიც პოტენციურ დოქტორანტებს წარმოუდგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით პრიორიტეტებს. ზემოხსენებული ჩანაწერის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში პოტენციურ დოქტორანტებს ხელს შეუწყობს პროგრამაზე დაშვებამდე დარგობრივი კომისიის წინაშე წარმატებით წარადგინონ დისერტაბელური კვლევითი პროექტი (ექსპოზე).
4.3 სასურველია პროგრამის სასწავლო კურსებისა და კვლევებისათვის აუცილებელი კრიტიკული თეოლოგიური ლიტერატურის პერმანენტული განახლება;
5.1 ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების იმპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის;
5.1 სასურველია მეთოდურად გაიმიჯნოს პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის და თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობა, რომელთაგან პირველი საგანმანათლებლო პროგრამას აკვირდება შიგნიდან, ხოლო მეორე გარედან შეფასების მიზნით, რათა მიღწეულ იქნას საგანმანათლო პროგრამის სრულყოფილი და ერთიანი აღქმა.

2.მეორე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული ჰუმანიტარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული ჰუმანიტარია/Digital Humanities
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.01.2018, გადაწყვეტილება N22
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ციფრული ჰუმანიტარია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი/Ph.D in Digital Humanities
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0288 ინტერდისციპლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	

		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 10 იანვარს, კოვიდ19-ის პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, ონლაინ ფორმატში. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ვიცე-რექტორი, ხარისხის უზ-რუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახუ-რის სპეციალისტები, ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი, ბიბლიო-თე-კის დირექტორის მრჩეველი), სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის გან-მა-ხორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღ-ვა-ნე-ლი და პროგრამის მოქმედი სტუდენტი, ამავე უნივერსიტეტის მონათესავე პროგრამების კურს-დამ-თავრებულები, დამსაქმებლები. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ონ-ლაინ ფორმატში დაათვალიერეს ელექტრონული საინფორმაციო რესურსები.
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული ჰუმანიტარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრბე დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია არის ჰუმანიტარული მეცნიერებების აქტუა-ლი-ზა-ცი-ი-სა და მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვინაიდან არსებობს მზა-რდი მოთხოვნა შრომის ბაზარზე და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ილიაუნი არის აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ერთადერთი პროვაიდერი არა მხოლოდ საქართ-ვე-ლოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, სასურველია, მოხდეს რესურსების ინტენსი-ფი-კაცია და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დოქტორანტების რაო-დე-ნობის ეტაპობრივი და თანმიმდევ-რული ზრდა (რა თქმა უნდა, სწავლებისა და კვლე-ვის მაღალი სტანდარტის შე-ნარ-ჩუნებით);
2. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ილიაუნის მდიდარი და სწრაფად გან-ვი-თა-რე-ბადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასურ-ვე-ლია, ციფ-რუ-ლი ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველ-ყო-ფილ იქნან ინდივი-დუ-ალური სამუშაო სივრცეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმია-ნო-ბის ეფექტია-ნო-ბის ზრდას და უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას სხვა დოქტორან-ტე-ბ-თან და საუნივერსიტეტო აკადემიურ საზოგადოებასთან;
3. სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მომზადებული თვით-შეფასების ანგარიში უფრო მეტად მოერგოს კონკრეტული პროგრამის შინაარსსა და სპე-ცი-ფიკას, უფრო დეტალურად და რელიეფურად წარმოაჩინოს პროგრამის თავისე-ბუ-რე-ბები და ძლიერი მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელმა ასევე ისეუბრა პროგრამის საუკეთესო პრაქტიკაზე, კერძოდ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის კონცეფცია დას მისი განხორ-ციე-ლე-ბის თავისებურებები არსებითად ითვალისწინებს ევროპის წამყვანი სადოქტორო სკო-ლე-ბის პრაქ-ტიკას და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით მომზადებულ ზალცბურგის პრინციპებს. პროგრამა აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რო-მელ-თა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქ-ტურების მიერ, რაც არც თუ ხშირად გვხვდება საქართველოს უმაღლესი განათ-ლების სივრცეში.

ამასთან, პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგ-რა-მის გან-მახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონ--ტაქ-ტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლე-ვით ცენტ-რებ-თან.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნ-ველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითო-ეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარის-ხის უზრულველყოფის სამსახურების მოქ-მე-დე-ბა ერთიანი საუნივერსიტეტი ხარის-ხ-ის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგო-მე-ბის შე-სა-ბა-მი-სად, გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა უფლებამოსი-ლე-ბების სწო-რი დელეგირების, აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუ-შაო-ბის პრინციპებზე დაყრ-დნობით ხორციელდება.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტე-რე-სებულ მხარესთან, წარმოაჩინა საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო, სიახლეე-ბი-სა-დ-მი გახს-ნი-ლობა და გუნდურობა, რაც სამომავლოდ უნივერსიტეტში ხარისხის კულ-ტუ-რის დამკვი-დ-რების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუ თარი პოზიცია.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების საბჭოს თარიღით ძალაში შესვლის შესახებ.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ციფრული ჰუმანიტარიის განახლებული სადოქტორო პროგრამა მოიცავს ოთხ მიმართულებას: ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია, ელექტრონული ლექსიკოგრაფია. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ციფრული ჰუმანიტარიის დარგში ახალი თაობის მკვლევრები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ინტერდისცილინური ცოდნითა და უნარებით და შეძლებენ განახორციელონ ინოვაციური და ორიგინალური კვლევა თანამედროვე ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით ციფრული ეპიგრაფიკის, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერების, ციფრული პროსოპოგრაფიისა ან ელექტრონული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით და მოახდენენ ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიასა და საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე. პროგრამა ითვალისწინებს 60 კრედიტის დაგროვებას და ისეთი კომპონენტების შერსულებას, როგორც არის სადოქტორო კოლოკვიუმი, ასისტირება და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. პროგრამა ითვალისწინებს ციფრული ჰუმატნირატიის დოქტორის ხარისხის მინიჭებას, ხოლო მის ფარგლებში დაგეგმილი სწავლის პერიოდი მოიცავს 3-5 წელს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის პირველი შედეგი, გულისხმობს უახლესი ცოდნის მიცემას და მოიცავს ოთხივე მიმართულებას. თუმცა, პროგრამის კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებში შეთავაზებულია ერთ-ერთი მიმართულება. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომელი მიმართულება გამოიკვეთა ყველაზე მეტად დოქტორანტების მხრიდან? ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა, ხომ არ იკვეთებოდა საკითხთან მიმართებით ტექნიკური ხარვეზი სწავლის შედეგების ფორმულირებაში?
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევასა და დამსაქმებლების გამოკითხვასთან დაკავშირებით დაცული უნდა იყოს რელევანტურობა. რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, გასაგებია, რომ პროგრამა იქნება დეფიციტური, უბრალოდ უმჯობესია იყოს განსაზღვრული და ფორმალურად მოცემული თუ საიდან დაიფარება კონკრეტულად ხარჯები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში არ არის მოცემული ოთხივე მიმართულება. მიმართულებები გამოყენებულია ,,ან“ ნიშნით.
რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, ბიუჯეტთან დაკავშირებით საგანაგებოდ აღნიშნულია, რომ პროგრამა მოქმედებს ოთხი საკვლევი ინსტიტუტის ბაზაზე და მისთვის განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება. ბიუჯეტურად ასევე დადასტურებულია თითოეული დისერტაციის ხარჯები. თითოეული დოქტორანტი მუშაობს ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში და მათი ხელფასის ხარჯებიც გათვალისიწნებულია ბიუჯეტით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:53
დასრულების დრო: 19:08

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ციფრული ჰუმანიტარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ციფრული ჰუმანიტარიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

რჩევები:
1.2 სასურველია შრომის ბაზრის კვლევის არეალი იყოს პროგრამის რელევანტური.
1.2 პროგრამის პირველი სწავლის შედეგი დაკორექტირდეს და დაზუსტდეს ფორმულირება, რომელი კონკრეტული მიმართულებით მიიღებს დოქტორანტი ახალ ცოდნას.
1.2 სასურველია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
4.1 ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია არის ჰუმანიტარული მეცნიერებების აქტუალი-ზა-ციი-სა და მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვინაიდან არსე-ბობს მზარდი

მოთხოვნა შრომის ბაზარზე და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვა-ლის-წი-ნებით, რომ ილიაუნი არის აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ერთადერთი პროვაი-დე-რი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, სასურველია, მოხდეს ადამიანური და მატერიალური რესურსების ინტენსიფიკაცია და უნივერსი-ტე-ტ-მა უზრუნველყოს დოქტორანტების რაოდენობის ეტაპობრივი და თანმიმდევ-რუ-ლი ზრდა (რა თქმა უნდა, სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებით.

4.3 საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ილიაუნის მდიდარი და სწრაფად გან-ვი-თა-რებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასურ-ვე-ლია, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველ-ყო-ფილ იქნან ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმია-ნობის ეფექტიანობის ზრდას და უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას სხვა დოქტორანტებთან და საუნივერსიტეტო აკადემიურ საზოგადოებასთან.

4.4 სასურველია პროგრამის ფინანსური დეფიციტურობიდან გამომდინარე მითითებულ იქნას ფინასური რესურსების გამოყოფის კონკრეტული ბიუჯეტის მუხლები.

3.მესამე საკითხი : შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა/Architecture
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.01.2018, გადაწყვეტილება N23
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქიტექტურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი/Bachelor of Architecture
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, თბილისი, სასწავლო კორპუსი “ბ”, #2,0131, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა
საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (შემდგომში - ვიზიტი) განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად (პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით), Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 24 ნოემბერს. ვიზიტის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბიბლიოთეკის წარმომადგენელს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებს. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი სტუდია, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები) შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით. ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუქისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. რეკომენდებულია სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.
3. მემორანდუმებში დაკონკრეტდეს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (კომპანიის/ორგანიზაციის) ტერიტორიაზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლის საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში, შეფასების სისტემაში მითითებულია შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შზსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის 20%-ზე ნაკლები. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. კრედიტების გაანგარიშების წესით, რომელიც სტუდენტების შეფასების სისტემის საფუძველია, არ არის განსაზღვრული რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა წარმოადგენდეს საფუძველს დამატებით გამოცდაზე დასაშვებად. დამატებით გამოცდაზე დასაშვებად, თუ სტუდენტის შეფასებაა FX- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელოი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება ან მიიღო 51 ქულა, მაგრამ ვერ მოაგროვა მინიმუმ 15 ქულა დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან. ყველა სილაბუსში გაკეთებულია შესაბამისი ჩანაწერი. გამომდინარე აქედან, დაწესებულება მიიჩნევს, რომ შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და აღნიშნული რეკომენდაცია არ არის რელევანტური.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, მემორანდუმის სტანდარტული ფორმა ითვალისწინებს პრაქტიკის შესახებ ჩანაწერს. ზოგ შემთხვევაში კომპანიები ამჯობინებენ მემორანდუმში არ მიეთითოს დაწვრილებითი ინფორმაცია პრაქტიკის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკის განხორციელებისას ფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება. წარმოდგენილი მემორანდუმებიდან ორში მითითებულია კონკრეტულად სტაჟირებასთან დაკავშირებული პუნქტები, ხოლო სამ მემორანდუმში სტაჟირების კომპონენტი მოიაზრება პუნქტში - საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით აქტივობებში, სფეროებში თანამშრომლობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა თუ რა კომპონენტებს მოიცვას სტაჟირება, ვინაიდან პროგრამაში მოცემული კონტექსტი არ მოითხოვს მოცემული პრაქტიის რაიმე ორგანიზაციაში განხორციელებას. შესაბამისად, საბჭს წევრმა დააზუსტა ეს არის კოპონენტი რომელიც ცალსახად უნივერსიტეტის გარეთ უნდა განხორციელდეს თუ დამოუკიდებლად ლექტორების ხელმძღვანელობითაც შესაძლებელია აღნიშნულის განხორციელება?

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მინიმალური ზღვის განსაზღვრა, ნიშნავს შემდეგ კომპონენტზე დაშვებას. საბჭოს წევრი სრულიად იზიარებს დაწესებულების მოსაზრებას საკითხთან დაკავშირებით, ამასთან აღნიშნული ჩანაწერი არ ეწინააღმდეგება N3 ნ ბრძანებას.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში რიგი საგნები არის ახლებურად წარმოდგენილი, თუმცა მარტივი საბაზო საკითხები, არ არის მოცემული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებოსკენ.
სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ დააზუსტა თუ რატომ არ მოიცავს მიღების წინაპირობები გასაუბრებასა თუ პორტფოლიოს წარდგენას? პროგრამას გააჩნია განსაკუთრებული სპეციფიკა, შესაბამისად აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი უნარები მის დასაძლევად. გარდა ამისა საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არის არქიტექტურული კომპოზიცია, არქიტექტორული კომპოზიციის საფუძვლები და არქიტექტორული ხაზვა განსაზღვრული არჩევითი სასწავლო კურსების სახით, განსაკუთრებით თუ რატომ არის აღნიშნული მოცემული სწავლების მე-4 წელს, როდესაც ძირითადად ეს სასწავლო კურსები ისწავლება სწავლების პირველ ან მეორე წელს.
ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა ,,არქიტექტურული გრაფიკის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ საგნის დასახელება და მისი შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის, ასევეა საგნის მიზნები და შედეგები. რაც შეეხება პროექტს, აღნიშნული მოიცავს 10 კრედიტს რაც სავსებით მისასალმებელია. თუმცა პროექტი მოიცავს თეროიულ ნაწილს, რომლის შესახებაც ინფორმაცია პროგრამაში არ არის მოცემული, კერძოდ რა საკითხები იქნება განხილული არ არის განსაზღვრული.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, ,,შენობა-ნაგებობების“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ ამ კურსთან დაკავშირებითაც სათაური ცალსახად საჭიროებს შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან სასწავლო კურსების ფარგლებში არ ჩანს თუ როგორ ხდება შემოქმედებითი უნარების განვითარება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მოცემული პროგრამა არის არქიტექტურის და არა მშენებლობის სპეციალობის, შესაბამისად სწორედ ამ ჭრილში არის განხილული თანამედროვე კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა, სამშენებლო ტექნოლოგიები და მასალები, ანუ ის ყველა საკითხი რაც აუცილებლად სჭირდება არქიტექტორს. მოცემული ლიტერატურაც არის თანამედროვე და ახალი და იგი სრულად შეესაბამება სასწავლო კურსების მოთხოვნებს.
რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა. აბიტურიენტმა უცხო ენის გამოცდაზე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (50%+1). აღნიშნული რა თქმა უნდა, არ მოიაზრებს გასაუბრებასა და პორტფოლიოს წარდგენას განსაკუთრებით კი იმ პირობებში, რომ მოცემული პროგრამა არის საერთაშორისო. ასევე აღსანიშნავია, რომ უცხოელი ექსპერტების შეფასებისას აღნიშნული საკითხი არ იქნა განხილული.
საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია არსებობდეს გასუაბრება ან პორთფოლიოს წარდგენის ვალდებულება რათა დადგინდეს აბიტურიენტის შესაძლებლობები. მოცემული ასევე წარმოადგენს საერთაშორისო მოთხოვნას.
რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, დაწესებულებამ 180 კრედიტამდე განავრცო სავალდებულო სასწავლო კურსები და მინიმუმამდე დაიყვანა არჩევითი. ამასთან კომპოზიციები სრულად ურუნველყოფს შესაბამისი ცოდნის მიცემას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ ,,არქიტექტურული ხაზვა“ მოიცავს ორ სემესტრს, რომლის ფარგლებშიც, დეტალურად ხდება საკითხის შესწავლა.

საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ ასევე აღნიშნა, რომ რიგი სისწავლო კურსების შემთხვევაში, კურსის შინაარსი და სახელწოდება არ ემთხვევა ერთმანეთს.
პროგრამის ხელმძღვანელმა არქიტექტურულ გრაფიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსი იმგვარად არის აწყობილი, რომ სტუდენტები სწავლობენ გრაფიკულ გამოხაზვას, თავად გრაფიკას, ტექსტურას, ანუ შენობის შემადგენელ ნაწილებს. სახელმძღვანელოც სრულიად შესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს და ამასთან არის უახლესი.
რაც შეეხება პრაქტიკის ფორმატს, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (კომპანიაში პრაქტიკა), რაც გულისხმობს, პრაქტიკის მენტორის ზედამხედველობის ქვეშ და დახმარებით, პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების რეალურ სიტუაციებში გამოიყენებას. სტუდენტმა მე-6 სემესტრში პროექტის დაწყებიდან ყველა პრაქტკული ეტაპი აუცილებლად უნდა გაიაროს. აღნიშნული დაეხმარება სტუდენტს გაიღრმავოს პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნა და ასევე, განივითაროს და გაიღრმავოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თუმცა რომელ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში გაივლის, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. თუმცა ეს დაწესებულება პასუხისმგებელი უნდა იყოს უნივერსიტეტის წინაშე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების საბჭოს თარიღით ძალაში შესვლის შესახებ.
საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:18
დასრულების დრო: 21:04

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "არქიტექტურის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუ ნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუქისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთამანეთთან შესაბამისობის მოყვანა.
2.1 რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.).
2.3 რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში („არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები“, „შენობა -ნაგებობები“, „მასალები და კონსტრუქციები“, „არქიტექტურული გრაფიკა“ და სხვ.) შინაარსი და სათაური შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

რჩევები:
2.2 სასურველია პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს შესატყვისი საგნების ფარგლებში გაძლიერდეს გეოდეზიასთან, ასევე შენობების საინჟინრო აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით.
2.2 მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა, კერძოდ: სასწავლო გეგმაში ერთი და იგივე დასახელების კომპონენტის გასწვრივ მითითებულია კრედიტების სხვადასხვა მოცულობა: „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა-**50 კრედიტი;** უცხო ენა-15 კრედიტი, „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა-**35 კრედიტი.**
2.2 სასურველია სასწავლო კურსები : „არქიტექტურული გრაფიკა“ და „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (II)“ პროგრამაში შეთავაზებული იყოს მე-2 ან მე-3 სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ხოლო მე-7 სემესტრის არჩევით ნაწილში ჩაჯდეს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სირთულის მიხედვით იქნება სწავლების სემესტრის შესაბამისი- მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, ეს შეიძლება იყოს მაგ. „გარემოს დიზაინი“, „ შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ ან უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი კურსი.
2.2 სასურველია შენობა-ნაგებობების კონსტრუქციის ელემენტები და სტრუქტურები დალაგებული იქნას მარტივიდან რთულისაკენ კონსტრუქციების თეორიაში არსებული გამოცდილების გამოყენებით.
3.1 მიზანშეწონილია სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების პროცედურები აისახოს „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ან სხვა დოკუმენტში დამატებითი ინფორმაციის სახით, რომელიც იქნება სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და გასაგები.
3.1 მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაზარდოს უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტისა და გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების/პერსონალის რაოდენობა.
4.3 სასურველია, დაკონკრეტდეს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (კომპანიის/ორგანიზაციის)ტერიტორიაზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლის საკითხი.

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევრაზიისა და კავკასიის კვლევები Eurasian and Caucasian Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი Master of Eurasian and Caucasian Studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 - ინტერდისციპლინური
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძისგამზ. No1, No8, No14, თსუ-სკორპუსებიI, VI დაIV; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ზუმ-ვიზიტი დაიწყო 09:00 საათზე (19.11.2021) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, კონკრეტულად, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ვიცე-რექტორთან სამეცნიერო დარგში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან. საუბარი შეეხო ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოქმედი ინგლისურენოვანი პროგრამა საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებდა და მისი კურსდამთავრებულები იყვნენ როგორც საქართველოს მოქალაქები, ასევე უცხო ქვეყნის წამომადგენლები. იმის გამო, რომ შემცირდა ქართველი სტუდენტების რაოდენობა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეცვლილიყო სწავლების ენა, გამხდარიყო ქართულენოვანი. ამიტომ ხდება პროგრამის წარმოდგენა აკრედიტაციისათვის და არა რეაკრედიტაციისათვის. პროგრამაში კვლავ რჩება გაცვლით პროგრამებში მონაწილე უცხოელ სტუდენტთათვის საინტერესო კურსები ინგლისურ ენაზე. ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელმა ერთხმად აღნიშნა, რომ უსდ-სთვის წარმოდგენილი პროგრამა ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა. მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს.

დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; თუმცა, ითხოვს გაუმჯობესებას. უსდ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი. სტუდენტურ აუდიტორიებში დამონტაჟებულია ლექცია-სემინარისათვის აუცილებელი ტექნიკა და ავეჯი. თსუ-ში ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატიკის კაბინეტები. ბიბლიოთეკის დათვალიერება შეფერხდა გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა მოგვიანებით, ონლაინ დაათვალიერა მე-3 კორპუსის ბიბლიოთეკა. ასევე ნახეს პროგრამისთვის შეძენილი წიგნები, რომელთა ნაწილია გაციფრულებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ვებ-გვერდის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ბიბლიოთეკა ფლობს მნიშვნელოვან აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. უსდ-ში ფუნქციონირებს LMS - ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მრავალი მიმართულებით

ემსახურება ლექტორსა და სტუდენტს; სწავლის პროცესში გამოიყენება elearning ელ-სისტემა და მასში ჩაშენებული Turnitin-ის (პლაგიატის) პროგრამა. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალერების შემდგომ აკრედიტაციის ჯგუფი ორი სესიის ფარგლებში შეხვდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. აღნიშნული სესიების დასრულების შემდგომ დაიწყო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც გაგრძელდა კურსდამთავრებულთა სესიით და შეხვედრით დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, კურიკულუმში მოხდეს ისეთი სასწავლო კურსის ინტეგრირება (სავალდებულო სტატუსით), რომელიც განიხილავს ევრაზიის კონცეფციის როლს და მიდგომებს (გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, ცივილიზაციური და ა.შ.). აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონცეფტუალურ ბმას საველდებულო და არჩევითი კურსებს შორის, ნათელს გახდის პროგრამის რეგიონულ ფოკუსს;
2. წამყვან უნივერსიტეტებში რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამების გამოცდილების შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში აუცილებელია ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორიცაა კავკასიის ისტორია, კულტურა; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესები; ცენტრალური აზიის პოლიტიკის, ისტორიის და კულტურის შემსწავლელი სასწავლო კურსები;
3. რეკომენდებულია, პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სოციალური კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსი გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამას დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები;
4. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში რეკომენდებულია უნარების ფარგლებში სასწავლო შედეგების ფორმულირება ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიზირებულ აგებაზე, მათ შორის მეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვება/გაანალიზებაზე;
5. სამაგისტრო ნაშრომის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსებში უნდა გაიწეროს შეფასების კომპონენტების ფარგლებში დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტს და ასევე შემფასებელი კომისიის წევრებს 10 ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების სკალაზე და მისაღწევი ხარისხობრივი დონეების შესახებ;
6. „კვლევის დიზაინის“, „გლობალური პოლიტიკის“ სასწავლო კურსების ფარგლებში უნდა დაზუსტდეს ცოდნა-გაცნობიერებეის და უნარების ნაწილის, ხოლო ‘საერთაშორისო

ეკონომიკის“, „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შემთხვევაში - ცოდნა-გაცნობიერების ნაწილის სწავლის შედეგების ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისად;

7. რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „კვლევის დიზაინი“, „ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა“, „ნაციონალიზმი ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“, „შედარებითი პოლიტიკა“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).
8. ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორიცაა „გლობალური პოლიტიკა“, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლტიკა“, რეკომენდებულია, განალხდეს სავალდებულო ლიტერატურა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსში განახლდეს წყაროები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური დოკუმენტების შესახებ. რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა აითვისოს და გაანალიზოს რეგიონისთვის დამახასიათებელი პროცესები უახლესი ლიტერატურის გამოყენებით;
9. სავალდებულო სასწავლო კურსის „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკაში“ ფოკუსი კეთდება სამხრეთ კავკასიაზე, ამავე დროს ისეთი საკითხები, რომელიც ეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, რუსეთი, ნაკლები ყურადღებით სარგებლობს ამ სილაბუსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სილაბუსის თემატიკა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს რეკომენდაცია მეტ დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რა კურსის შექმნას გულისხმობენ ექპერტები, რა იგულისხმება ევრაზიის კონცეფციის როლსა და მიდგომაში და რა უნდა იყოს ამ კურსის სათაური? მით უფრო, რომ მსოფლიოს უნივერსიტეტების უმრავლესობა ევრაზიაში მეტწილად რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის არეალს მოიაზრებს, რადგან მეზობელი რეგიონული სახელმწიფოები ირანი და თურქეთი ყველა რეგიონულ კვლევაში ახლო აღმოსავლეთშია გაერთიანებული, ხოლო ჩინეთი - აღმოსავლეთ აზიის რეგიონულ კვლევებში. ხოლო პოსტსაბჭოთა ევრაზიის რეგიონებზე პროგრამაში სილაბუსები არსებობს, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპას, სამხრეთ კავიასიასა და ცენტრალურ აზიას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის აღწერაში მითითებულია რომ პროგრამას აქვს ძლიერი ფოკუსი საერთაშორისო ურთიერთობებზე და თანამედროე პროცესების შესწავლაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებობს კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, სტუდენტებს ვისაც აინტერესებს ჩრდილო კავკასიის ისტორია და კულტურა, შეუძლიათ აიღონ ეს კურსები. რაც შეეხება ცენტრალური აზიის პოლიტიკასა და ისტორიას, ეს საკითხები ცენრალური აზიის პოლიტიკის სილაბუსში არის ჩაშლილი და განხილული.

აღსანიშნავია ასევე კავკასიის ისტორიისა და ჩრდილოეთ კავსკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესების სწავლების საკითხი, კერძოდ პროგრამის აღწერაში მითითებულია რომ პროგრამას აქვს ძლიერი ფოკუსი საერთაშორისო ურთიერთობებზე და თანამედროე პროცესების შესწავლაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებობს კაკვკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, სტუდენტებს ვისაც აინტერესებს ჩრდილო კავკასიის ისტორია და კულტურა შეუძლიათ აიღონ ეს კურსები, რაც შეეხება ცენტრალური აზიის პოლიტიკასა და ისტორიას, ეს საკითხები ცენრალური აზიის პოლიტიკის სილაბუსში არის ჩაშლილი და განხილული.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ ინსტიტუცია რეკომენდაციას არ იზიარებს, კერძოდ საერთაშორისო ურთიერთობების და რეგიონული კვლევების მიმართულებით ძირითადად მაინც თვისებრივი კვლევის მეთოდები გამოიყენება. პროგრამაში გათვალისწინებულია 2 კურსი, რომელიც კვლევით უნარებს გამოუმუშავებს სტუდენტებს. სოციალური კვლევის მეთოდების კურსში იფარება როგორც თვისებრივის, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მაშინ როდესაც "კვლევის დიზაინის" კურსში უფრო კონკრეტულად დარგობრივ კვლევაზე არის ყურადღება გამახვილებული (Case study, შინაარსის შესწავლა) და ნაშრომის მომზადებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ პროგრამაში თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ისწავლებოდა ცალ-ცალკე და ორივე სავალდებულო კურსი იყო. სტუდენტების თხოვნის საფუძველზე ჯერ რაოდენობრივ კლვევის მეთოდებს შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი, ხოლო შემდეგ გადაწყდა ამ ორი საგნის ინტეგრირება, რათა სტუდენტებს მიეღოთ ის აუცილებელი ცოდნა რომელიც სრულფასოვანი კვლევის წარმართვას სჭირდება.
რაც შეეხება დასწრება-აქტივობის საკითხს, ის რომ დასწრება-აქტივობის კომპონენტში ზოგიერთი ლექტორი ცალკე ქულას ანიჭებს დასწრებასაც, ეს ლექოტრის აკადემიური თავისუფლებაა და უსდ-ს შესაძლებლად მიაჩნია ეს რეკომენდაცია რჩევაში გადავიდეს, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლექტორებს აკადემიურ თავისუფლებას არ უზღუდავს. მით უფრო რომ აქტიურობა სემინარებზე სტუდენტის ინტერაქციის გარდა სტუდენტის ფიზიკურ დასწრებასაც გულისხმობს და თუ სტუდენტი ლექციას არ ესწრება, ვერც აქტივობაში შეფასდება ბუნებრივია.
აღსანიშნავია ასევე ,,რუსეთის საგარეო პოლიტიკისა“ და ,,ცენტრალური აზიიის პოლიტიკის“ სავალდებულოობის საკითხი, კერძოდ : სამაგისტრო პროგრამით სავალდებულო კურსს წარმოადგენს „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ“ რომლის საკითხებში რუსეთის საგარეო პოლიტიკაც შედის ელცინისა და პუტინის მმართველობის დროს. სავადებულო კურსების რაოდენობა თუ კიდევ გაიზრდება, ეს გამოიწვევს არჩევითი კურსების მრავალფეროვნების შეზღუდვას. უსდ-ს მიაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს ატარებს, რადგან მაგისტრატურაში საგნების რაოდენობა ისედაც შეზღუდულია და სავდებულო კურსების გაზრდის ხარჯზე მათი უფრო მეტად შემცირება დაწესებულებას არ მიაჩნია მიზანშეწონილად.
რაც შეეხება შეფასების საკითხს და ანალიტიკურ დავალებებს, პროგრამის სილაბუსების უმეტესობა კვლევით კომპონენტს ითვალისწინებს კლვევითი პროექტების, რეფერატების, პოზიციის ფურცლების, აკადემიური ნაშრომების, სტრატეგიული გეგმის მომზადების საშუალებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა ინგლისურენოვანი სილაბუსების საკითხი ექსპერტთა რჩევიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ყველა სილაბუსი არის ინგლისურ ენაზე, ვინაიდან აკრედიტაციის მიღების პროცესამდე პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე, თუმცა აღნიშნული არ იქნა წარდგენილი ექსპერტების წინაშე, ვინაიდან განახლებული პროგრამა გულისხმობდა სწავლების ენის ცვლილებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების საბჭოს თარიღით ძალაში შესვლის შესახებ.
საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:44
დასრულების დრო: 23:55

23:30 საბჭოს სხდომას შეუერთდა ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუ ნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ევრაზიის და კავკასიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
2.2 რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს კავკასიის ისტორიის, კულტურის; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესების; ცენტრალური აზიის პოლიტიკის, ისტორიის და კულტურის საკითხების სწავლება.
2.2 რეკომენდებულია, პროგრამის კვლევითი კომპონენტის გამრავალფეროვნების მიზნით, გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სწავლება.
2.3 სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში რეკომენდებულია უნარების ფარგლებში სასწავლო შედეგების ფორმულირება ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიზირებულ აგებაზე, მათ შორის მეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვება/გაანალიზებაზე;
2.3 სამაგისტრო ნაშრომის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსებში უნდა გაიწეროს შეფასების კომპონენტების ფარგლებში დეტალური რუბრიკები.
2.3 „კვლევის დიზაინის“, „გლობალური პოლიტიკის“ სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს ცოდნა-გაცნობიერებეის და უნარების ნაწილის, ხოლო ‘საერთაშორისო

ეკონომიკის“, „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შემთხვევაში - ცოდნა-გაცნობიერების ნაწილის სწავლის შედეგების ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისად;
2.3 რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „კვლევის დიზაინი“, „ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა“, „ნაციონალიზმი ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“, „შედარებითი პოლიტიკა“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).
2.3 ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორიცაა „გლობალური პოლიტიკა“, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკა“, რეკომენდებულია, განალხდეს სავალდებულო ლიტერატურა.
2.3 სავალდებულო სასწავლო კურსში „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“ ფოკუსი კეთდება სამხრეთ კავკასიაზე, ამავე დროს ისეთი საკითხები, რომელიც ეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, რუსეთი, ნაკლები ყურადღებით სარგებლობს ამ სილაბუსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სილაბუსის თემატიკა;

რჩევები:
2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.2 სასურველია კურიკულუმში გაძლიერდეს ევრაზიის კონცეფციის როლისა და მიდგომების შესახებ სწავლება.
2.2 სასურველია პროგრამის სტრუქტურაში როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტის ფარგლებში საფაკულტეტო და დარგობრივი ძირითადი სასწავლო კურსების გამიჯვნა და შესაბამისი სტატუსის ასახვა პროგრამის სტრუქტურის აღწერაში და სილაბუსებში;
2.3 სასურველია ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში როგორიცაა „სამშვიდობო მისიების“, „ნაციონალიზმის პრაქტიკის და თეორიის“, „ნაციონალიზმი, ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „განვითარების ეკონომიკა“, „მდგრადი განვითარების“, ინტეგრირებული იქნას ევრაზიის რეგიონისთვის დამახასიათებელი შემთხვევების ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული პროცესების და სუბრეგიონული თავისებურებების სტუდენტის მიერ გაანალიზებაში;
2.3 სასურველია „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსის სათაურის დაზუსტება, რადგან სილაბუსის მიხედვით აქცენტი კეთდება ევროკავშირზე;
2.3 სასწავლო კურსში „რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა“ სასურველია თემატიკის დაზუსტება საქართველოსთან მიმართებაში, კერძოდ, ბოლო სამი თემა „ვარდების რევოლუციის შესახებ“ გადატანილი იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკის საწავლო კურსში;
2.3 სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიებამდე“ სათაური და გაკეთდეს აქცენტი შედარებითი ანალიზის სტრატეგიებზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტიანად გააანალიზონ რეგიონში მიმდინარე პროცესები;
2.3 სასურველია, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, ასევე „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“ სასწავლო კურსს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი.
2.3 სასურველია, დაზუსტდეს, პროგრამის რომელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე და შესაბამისი სილაბუსების იქნას შედგენილი.

2.4 სასურველია ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომლის მიღწევის შეფასება განხორციელდება ისეთი დავალებებით, როგორიცაა პოლიტიკის დოკუმენტი, წიგნის/სტატიის რეცენზია, შემთხვევების (case study) შედარებითი ანალიზი და სხვა.
2.5 სასურველია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (PBL), Inquiry-based, რეფლექსური სწავლა-სწავლების მეთოდის გათვალისწინება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც ეს რელევანტური იქნება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მიერ სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანად მიღწევას.
2.6 სასურველია პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან გაკონტროლდეს სტუდენტებისათვის პლაგიატის პროგრამის არსებობისა და მისი გამოყენების წესების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების პროცესი.
3.2 სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ სამეცნიერო ბაზები.
5.1 სასურველია, პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და დამსაქმებლების კიდევ უფრო მაღალი დოზით ჩართულობა და მოხდეს მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების უფრო დეტალურად გაანალიზება.
5.1 სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები აისახოს რეაგირების ანგარიშში.
5.2 სასურველია უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე მოცემული პროგრამის შემუშავებისას;
5.3 სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
სასურველია, პერიოდულად მოხდეს კოლეგების მიერ სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების გზით, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვა Human Resource Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი Master of Human Resources Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენრი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 2, თბილისი, თსუ X კორპუსი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და თეონა მატარაძემ
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ზეპირი მოსმენისა და ხანგრძლივი განხილვის აუცილებლობა, ვინაიდან საკითხის განხილვა საბჭოს სხდომაზე განხორციელდა 2021 წლის 17 დეკემბერს და საბჭო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროებდა გარკვეულ სამართლებრივ საფუძვლებს, რაც აკრედიტაციის საბჭოს უკვე მიეწოდა. შესაბამისად 2022 წლის 25 იანვრის სხდომაზე საბჭო მზად იყო, გასულიყო სათათბიროდ გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა სურვილის შემთხვევაში გამოთქვა მზაობა მოესმინა როგორც ექსპერტების ასევე დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ არ არსებობდა საკითხის ხელახლა განხილვის აუცილებლობა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი რჩებოდა იგივე პოზიციაზე, რაც საკითხის პირველადი განხილვის დროს დააფიქსირეს და რაიმე დამატებითი მოსაზრება პროგრამასთან მიმართებით, არ ჰქონიათ.

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ ის გარემოებები, რაც შეიქმნა უკვე განახლებული საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, აძლევდა დაწესებულებას შესაძლებლობას, რომ ემსჯელა შემდგომ აქტივობებსა და პროგრამის განვითარების საკითხებზე და ზოგადად, ამ ტიპის პროგრამების ბედზე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატალია ხარაძემ, გამოხატა უკმაყოფილება საბჭოს სხდომაზე მათი საკითხის გვიან განხილვის გამო და საბჭოს წევრებს მიმართა, რომ საბჭოს წევრთა მხრიდან არ მოხდა იმის გათვალისწინება, რომ დაწესებულების პერსონალს მოუწია დიდი ხნით ლოდინი მათი საკითხის დაწყებამდე. ნატალია ხარაძის გამოსვლამ გამოიწვია გარკვეული დაძაბულობა, ვინაიდან მისი მიმართვა საბჭოს წვერების მიმართ იყო არაკორექტული და შეურაცხმყოფელი. მან აუგად მოიხსენია საბჭოს წევრები და ეჭვქვეშ დააყენა მათი პროფესიონალიზმი. მან ბრალი დასდო საბჭოს წევრებს, რომ მათი მხრიდან ხდება დაწესებულებების აბუჩად აგდება, როდესაც მათ უწევთ ლოდინი მათი საკითხის განხილვამდე, რაზეც მისი თქმით უკვე საუბრობს აკადემიური სივრცე და არსებობს გარკვეული ჩანაწერებიც, რომელშიც ჩანს ეს დამოკიდებულება აკრედიტაციის საბჭოს მიმართ. აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ უპასუხა, რომ საბჭოს სხდომაზე საკითხების განხილვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საკითხის სირთულეზე და შესაბამისად, საბჭო წინასწარ ვერ განსაზღვრავს, რა დრო შეიძლება დაჭირდეს კონკრეტული საკითხის განხილვას. საბჭოს მთავარი ინტერესია, აკრედიტაციის პროცესმა ჩაიაროს ხარისხიანად, რაც საბოლოო ჯამში აისახება განათლების სისტემის გაუმჯობესებაზე და მსგავსი დამოკიდებულება საბჭოს მუშაობის მიმართ არის უსამართლო და მიუღებელი.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მას ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეთხოვა საკითხის გადადება, თუკი, დროის ფაქტორი მისთვის ხელისშემშლელი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესები კანონმდებლობის დონეზე იძლევა საკითხის გადადების საშუალებას.
მან აღნიშნა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში ჩართულია ცენტრიც და ისინი მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ როგორც დაწესებულების, ისე სტუდენტების და ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები. მან აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია, რომ რთულია მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, თუმცა განსახილველ საკითხთა სიმრავლისა და სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საბჭოს სხდომა გაგრძელდეს დიდხანს. მან მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, არ გასცდენოდა საკითხის განხილვა აკადემიურ ფარგლებს და დაბრუნებოდნენ საკითხის არსებით განხილვას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 01:06
დასრულების დრო: 01:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხ ლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1.1 რეკომენდებულია პროგრამის მიზნები დაიხვეწოს და გახდეს უფრო ნათელი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.
1.1 რამდენადაც პროგრამა განკუთვნილია პრაქტიკული გამოცდილების მქონე სტუდენტებისათვის, მიზანშეწონილია, აისახოს პროგრამის მიზნებშიც. პროგრამამ უნდა განავითაროს ის უნარები, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს

უკვე შეძენილი აქვს და განახორციელებს პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ამისათვის საჭიროა წინადადებები აიგოს შესაბამისი სიტყვების გამოყენებით, მაგ.: „სრულიყოს, განავითაროს, გაიღრმავოს და ა.შ.

1.1 რეკომენდებულია, ჩატარდეს ბაზრის ღრმა კვლევა და შესაბამისად დაკორექტირდეს მიზნები, რათა პროგრამამ კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

1.2 პროგრამის შინაარსისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე რეკომენდებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების დაზუსტება.

1.2 რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულების შემუშავება შედეგების მისაღწევად მოხდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე.

2.1 რეკომენდებულია, პროგრამის დაშვების წინაპირობად დაემატოს "საერთო სამაგისტრო გამოცდის" ჩაბარების ვალდებულება.

2.1 რეკომენდებულია, დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს მოთხოვნები მართვისა და ადმინისტრირების გამოცდილების კუთხით.

2.2 რეკომენებულია სასწავლო კურსი „ლიდერობა და ემოციური ინტელექტი" გადავიდეს სავალდებულო, ხოლო სასწავლო კურსი „სოციალური ფსიქოლოგია" გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში.

2.2 აუცილებელია კურსებში (მაგალითად: ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში, ტალანტების მართვა, და მონაცემთა კვლევადა ანალიზი SPSS-ის საშუალებით) გაიზარდოს პროექტისა და რეფერატის შეფასების წონა ანდა მოხდეს ცალკე სასწავლო კურსად ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის შეთავაზება.

2.2 რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტი აქცენტი გაკეთდეს ადამიანური კაპიტალის მართვის, მათ შორის განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე/საკითხებზე (მაგ., ადამიანური კაპიტალის დაგეგმვა და სტრატეგიული მართვა, ტალანტების მართვა, ინვესტირება ადამიანურ რესურსში, ფსიქოპროგნოსტიკის და ფსიქოდიაგნოსტიკის ასპექტები და სხვ.

2.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსი "სოციალური ფსიქოლოგია" შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან, პროგრამის შინაარსთან და მიზნებთან.

2.3 რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში განახლდეს ლიტერატურა პროგრამის სპეციფიკის, შინაარსის და სწავლების საფეხურის შესაბამისად.

2.4 სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობები/კომპონენტები.

2.5 რეკომენდებულია პროგრამის სწავლების მეთოდების აღწერაში ამოღებულ იქნას ჩანაწერი"თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით".

2.5 რეკომედებულია, პროგრამის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების მეთოდებში გამოყენებული იქნას ბიზნეს-სიმულაციის მეთოდი, CaseStudy კვლევის მეთოდი ან/და პროექტული სწავლება.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდებსა და შეფასებებს შორის კავშირი უნდა იყოს უფრო მეტად ლოგიკური და თანმიმდევრული.

2.6 სტუდენტის მიერ მიღწეული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეფასება მკაფიოდ უნდა ჩანდეს სილაბუსებში, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სწავლის შედეგები.

2.6 რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს და დაზუსტდეს და შეიცვალოს საგნებში შეფასების კრიტერიუმები, წონა და/ან კომპონენტები, მათ შორის გაიზარდოს პროექტის/რეფერატის კომპონენტის შეფასების ხვედრითი წონა.

2.6 ვინაიდან სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოიყენება „ინდივიდუალური პროექტი/რეფერატის მომზადება" რეკომედირებულია, შესაბამის სილაბუსში ახსნილი იყოს მისი სავალდებულოობა და განისაზღვროს შეფასების მინიმალური ზღვარი.

4.1 რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა გაძლიერდეს პრაქტიკოსი პერსონალით ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.
5.1 რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმებში გათვალისწინებულ იქნას პროგრამის სპეციფიკა და მათი სრულყოფილი ამოქმედება პროგრამის მდგრადი განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.
5.3 რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს შესაბამისი მიმართულებით გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.

რჩევები:

1. სასურველია უფრო კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში თუმცა ეს საკითხი ნაწილობრივ ჩანს პროგრამის შედეგებში.
2. სასურველია პროგრამის განვითარების ფარგლებში ჩართულ იყვნენ შესაბამისი მიმართულებით გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ი, რომლის რჩევების და რეკომენდაციების საფუძველზე მიზნები უფრო ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი გახდება.
3. სასურველია, სასწავლო კურსი "კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით", რომელიმე კურსთან კომბინაციაში შეთავაზება, მაგალითად ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკასთან ანდა პერფორმანს მენეჯმენტი გლობალურ გარემოში. სადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტებს ასევე მოემზადებინათ რაიმე პროექტი.
4. სტუდენტების სწორი ინფორმირების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის თავისებურებებთან დაკავშირებით ტრენინგების, ანდა ვორქშოფების ჩატარება პოტენციურ სტუდენტებთან.
5. უნდა იქნას შესწავლილი, პოტენციურ სტუდენტთა ინტერესები, ასევე სუსტი მხარეები, რომლებიც არსებობს ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე. ამ ყველაფრის შესწავლა დაეხმარებოდათ ლექტორებს სილაბუსები მოერგოთ კვლევის შედეგად გამოკვეთილი, სუსტი მხარეების შევსებისათვის.
6. სწავლების პროცესში მონაწილე პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზება EMBA პროგრამის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების, მისი თავისებურებებისა და მიდგომების გათვალისწინებით.
7. სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭომ, დადგენილი უფლებამოსილების და ვალდებულების ფარგლებში, შეინარჩუნა საჯარო თმენის ვალდებულება და მხედველობაში არ მიიღო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები, საბჭოს ცენტრის და სხდომაზე დამსწრე ყველა პირის მიმართ. მან იმედი გამოთქვა, რომ ინსტიტუცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოახდენს შესაბამის რეაგირებას. საბჭოს თავმჯდომარემ ინსტიტუციას და პროგრამის წარმომადგენლებს მიულოცა პირობითი აკრედიტაციის მიღება და აღნიშნა, რომ ეს არის პირველი პრეცენდენტი ქართულ

საგანმანათლებლო სივრცეში ასეთი პროგრამის შემუშავებისა, რომლითაც ინსტიტუცია ერთგვარი ფლაგმანის როლს შეასრულებს და ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც საბჭომ დეტალურად განიხილა, იქნება ზედმიწევნით შესრულებული და დაწესებულება მოამზადებს კვალიფიციურ მაგისტრებს. ის საუკეთესო სურვილებით დაემშვიდობა ინსტიტუციას და პროგრამის წარმომადგენლებს და დაადასტურა პატივისცემა თითოეული მათგანის მიმართ. მან ასევე მადლობა გადაუხადა ცენტრს დაუღალავი და ხარისხიანი შრომისთვის.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა
2022 წლის 26 იანვრის 01:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა